



**GALT & TAGGART**  
CREATING OPPORTUNITIES


# გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები  
პერიოდული  
18 ივნისი, 2021


- ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა (FED) 15-16 ივნისის შეხვედრაზე უცვლელად შეინარჩუნა პოლიტიკის განაკვეთი და აქტივების შესყიდვის მოცულობა და აღნიშნა, რომ პოლიტიკის გამკაცრებამდე აუცილებელია "ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაჯანსაღება". თუმცა აღსანიშნავია, რომ FED-მა პროგნოზები განაახლა და პოლიტიკის განაკვეთის ზრდა 2023 წლიდან დაიწყება, რაც წინა პროგნოზთან შედარებით დაჩქარებულია (2024 წლიდან იყო დაგეგმილი). გარდა ამისა, აშშ-ს 2021 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 6.5%-დან 7%-მდე გაიზარდა.
- 2021 წლის მაისში აშშ-ში ინფლაციის მაჩვენებელი 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულზე დაფიქსირდა და 5% შეადგინა (აპრილში 4.2% იყო). ამასთან საბაზო ინფლაცია, რომელიც გამორიცხავს საკვებისა და ენერგეტიკის ფასებს, 2021 წლის მაისში 3.8%-ით გაიზარდა. ივნისის პირველ 2 კვირაში კაპიტალის ბაზრებზე გაიზარდა მოთხოვნა სახაზინო ობლიგაციებზე. 10 ივნისისთვის აშშ-ს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობამ 1.45% შეადგინა, რაც 3 თვიანი მინიმუმია (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ობლიგაციების შემოსავლიანობა და ფასები უკუპროპორციულია). FED-ის განცხადებების შემდეგ აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებზე შემოსავლიანობა გაიზარდა და 17 ივნისისთვის 1.52% შეადგინა.
- ევროპაში სამთავრობო ობლიგაციების შემოსავლიანობის შემცირება ივნისის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა, მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა აქტივების შესყიდვის ტემპი უცვლელად შეინარჩუნა. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის 5-წლიანი ობლიგაციებზე შემოსავლიანობა პირველად გახდა უარყოფითი. ევროზონის ქვეყნებს შორის მხოლოდ იტალიის შემოსავლიანობა რჩება დადებით ნიშნულზე, ნულთან ახლოს.
- აშშ-ში სახაზინო ობლიგაციებზე შემცირებული შემოსავლიანობის პარალელურად, 2021 წლის ივნისში გლობალურმა ინდექსებმა რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწიეს. S&P 500 ინდექსი ივნისის პირველ ნახევარში 1.0%-ით გაიზარდა და 15 ივნისისთვის 4,247 შეადგინა, თუმცა FED-ის განცხადების შემდეგ ფასები დაკორექტირდა და 17 ივნისის 0.6%-ით შემცირდა. დღიური ვოლატილობის მიუხედავად, ტექნოლოგიური აქციებით შედგენილი NASDAQ ინდექსი იმავე პერიოდში 3.0%-ით გაიზარდა. ივნისის პირველ ნახევარში ასევე გაიზარდა ევროპული აქციების ფასებიც, STOXX 600 ინდექსი 2 კვირაში 2.8%-ით გაიზარდა.

გთხოვთ, გაეცნოთ მნიშვნელოვან შეტყობინებას დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


**S&P 500 (აშშ)**




**Dow Jones Industrial Average (აშშ)**




**NASDAQ (აშშ)**



**STOXX 600 (ევროპა)**



**FTSE 250 (ლონდონი)**



**Emerging Markets Index  
(განვითარებადი ქვეყნები)**



წყარო: ბლუმბერგი  
შენიშვნა: 2021 წლის 17 ივნისის მდგომარეობით


- მსოფლიო ტენდენციის პარალელურად 2021 წლის მაისში ჩინეთში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა (PPI - ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების საშუალო დონე) 13-წლიან მაქსიმუმს მიაღწია და 9% შეადგინა (ეს მაჩვენებელი 2021 წლის აპრილში 6.8% იყო). იმავე პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 1.3%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად ენერგომატარებლების გაზრდილ ფასებს უკავშირდება. ჩინეთში გაზრდილი PPI ინდექსი გადაეცემა ჩინეთის საექსპორტო პროდუქციას, რაც გლობალურად ინფლაციურ ზეწოლას გაზრდის, ვინაიდან ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორია. 2021 წლის მაისში ზრდის შემდეგ, ჩინეთის Shanghai Composite ინდექსი ივნისის პირველ 2 კვირაში 2.5%-ით დაეცა, რაც ნაწილობრივ უკავშირდება ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში გაზრდილ COVID-19 შემთხვევებს.
- **იაპონიაში**, 2021 წლის პირველ კვარტალის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაკორექტირდა და პირველ კვარტალში ეკონომიკა 3.9%-ით შემცირდა (5.1%-ის ნაცვლად). ივნისის პირველ 2 კვირაში იაპონიის Nikkei 225 ინდექსის ფასი 2.0%-ით გაიზარდა და 15 ივნისისთვის 29,441 შეადგინა, თუმცა მოგვიანებით ფასები დაკორექტირდა და 15-17 ივნისს 1.4%-ით დაეცა.

### ნავთობი და ოქრო

- ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ (IEA) ბოლო მოხსენებაში აღნიშნა, რომ მსოფლიოში ნათობზე მოთხოვნა პანდემიამდელ არსებულ მაჩვენებელს 2022 წლის ბოლოსთვის გადააჭარბებს და ნავთობმწარმოებლებს მოუწოდა გაზარდონ წარმოების მოცულობები. მსოფლიოში გაზრდილი ინფლაციული წნეხი ძირითადად ნავთობის ფასის ზრდასთანაა დაკავშირებული. ნავთობის ფასების ზრდა ივნისის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა. Brent-ის ტიპის ნავთობის ფასი 5.4%-ით გაიზარდა და 17 ივნისისთვის ბარელზე \$73.1 შეადგინა, ხოლო WTI-ის ტიპის ნავთობის ფასმა კი \$71.4-ს მიაღწია (+7.1%).
- ივნისში მსოფლიოში ოქროს ფასები შემცირდა და 15 ივნისისთვის ტროის უნციაზე ფასმა \$1,859 შეადგინა (-2.5%). მოგვიანებით, FED-ის განცხადებების შემდეგ ოქროს ფასი კიდევ უფრო დაეცა და 17 ივნისისთვის უნციაზე \$ 1,773.5 შეადგინა.

### Volatility/მერყეობა ბაზარზე

- ივნისის პირველ 2 კვირაში, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, 5.9%-ით შემცირდა 17.8-მდე.



წყარო: ბლუმბერგი  
შენიშვნა: 2021 წლის 17 ივნისის მდგომარეობით

## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდითთ ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

### კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | [evabochoreshvili@gt.ge](mailto:evabochoreshvili@gt.ge)

### უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | [ananachkebia@gt.ge](mailto:ananachkebia@gt.ge)

### გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: [research@gt.ge](mailto:research@gt.ge)